აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №19

20 სექტემბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და დღის წესრიგის „სხვადასხვაში" შესთავაზა „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ" საკითხის დამატების შესახებ წინადადება.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

- **განკარგულება**

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების თაობაზე, სხდომაზე შეთავაზებული საკითხის - „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ" დამატების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. **განკარგულება**
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

2. **სხვადასხვა.**

- **განკარგულება**

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

1. **განკარგულება**
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის

„ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პროპორციული/მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა № 2-07.01.01); ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა 2-07.01.02);

გ) საარჩევნო ბიულეტენი მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა № 2-07.01.03);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმატი A2) (ფორმა №1-07.01.01);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.01.02);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო პროპორციული) (A2 ფორმატი) (ფორმა №107.01.03);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (A2 ფორმატი) (ფორმა №1-07.01.04).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. სხვადასხვა.

- **განკარგულება**

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“-ს თავმჯდომარემ მერაბ ღოღობერიძემ 2016 წლის 20 სექტემბერს განცხადებით მომართა უსკოს (უსკოში რეგისტრაციის N01-26/183) და მოითხოვა უსკოს მიერ

რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის გაუქმება.

აზრი გამოთქვეს:

ზურაბ გოლიაძემ, ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ თავმჯდომარემ მერაბ ღოღობერიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში არ არის შესაბამისი ნორმა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“-ს თავმჯდომარემ მერაბ ღოღობერიძემ აღნიშნა, რომ პროტესტის ნიშნად უარს ამბობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დაკვირვებაზე. მან აღნიშნა, რომ როგორც მესამე სექტორის წარმომადგენლისათვის მიუღებელია, რომ საარჩევნო კომისიებში არჩეული წევრები ნაცვლად იმისა რომ იყვნენ ობიექტურები არიან ერთი კონკრეტული პარტიის მხარდამჭერები.

პარმენ ჯალაღონია დაინტერესდა წარმოდგენილი განცხადებით ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“-ს თავმჯდომარე ითხოვს თუ არა უსკოს მდივნის მიერ რეგისტრირებული მისივე ორგანიზაციის დამკვირვებლების რეგისტრაციის გაუქმებას.

ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“-ს თავმჯდომარემ მერაბ ღოღობერიძემ აღნიშნა, რომ პირადი განცხადებით ითხოვს როგორც ორგანიზაციის ასევე მის მიერ უსკოში წარმოდგენილი დამკვირვებლების რეგისტრაციის გაუქმებას.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ადგილობრივი დამკვირვებელი

ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 **პუნქტის, ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“-ს** თავმჯდომარის 2016 წლის 20 სექტემბრის №0126/183 განცხადების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. გაუუქმდეს რეგისტრაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას: ა.(ა).ი.პ. საქართველო **„კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ინფორმაცია:
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ა.(ა).ი.პ. საქართველო „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ უსკოში უნდა წარმოადგინოს უსკოს მდივნის მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებლებზე გაცემული დამკვირვებლების მოწმობები. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს განკარგულება „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ და ამ განკარგულების საფუძველზე უსკოს მდივნის მიერ გამოცემული განკარგულება, რომლითაც გაუუქმდებათ

ხსენებული ორგანიზაციის დამკვირვებლებს რეგისტრაცია გადაგზავნილი იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქში და უბანში.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**